

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის  
N8 ბინაზე, მოქალაქე ჯაბა ცხადაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩა N88/8 ბინაში /ყოფილი N121, N122, N123 ოთახები/ მოქალაქე ჯაბა ცხადაძის განცხადება /2013 წლის 04.10 Nგ-10157/, რითაც ითხოვს მითითებულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N8 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ჯაბა ცხადაძეს /პირადი N60001101167/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაზე საერთო ფართობი 39,60 კვ.მ. /საცხოვრებელი ფართობი 39,60 კვ.მ, საერთო სარგებლობის დამხმარე ფართობი /სამზარეულო ფართობით 12,00 კვ.მ. შესასვლელი ფართობით 4,40 კვ.მ. სველი წერტილი ფართობით 3,00 კვ.მ. საკუჭნაო ფართობით 2,79 კვ.მ./ 22,19 კვ.მ./ მოქალაქე ჯაბა ცხადაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

კ.ლომიძე